პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის

თემურ ცქიტიშვილი
სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი (თსუ), თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

1. თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულის აგებულება

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დელიქტების კლასიფიკაციაში ერთ-ერთ სახედ გამოყოფენ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს, რომელსაც სხვაგვარად განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით განხორციელებულ დანაშაულსაც უწოდებენ, სადაც ქმედება განზრახაა განხორციელებული, ხოლო შედეგისადმი არსებობს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება. ასეთია სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც გაუფრთხილებლობით მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის შემდეგ სახეებს: შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულები **ფორმალური გაგებით ა**ნუ არანამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები და შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულები **მატერიალური გაგებით** ანუ ნამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები.[1] სსკ-ის მე-11 მუხლში სწორედ ნამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტებია ნაგულისხმევი.

არანამდვილ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებშიც შედეგი მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს, მაგრამ ნამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტებისგან განსხვავებით, ერთნაირი სუბიექტური დამოკიდებულება არსებობს როგორც ქმედების, ისე შედეგის მიმართ. ეს შეიძლება იყოს ან მხოლოდ განზრახი ან მხოლოდ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება. 109-ე მუხლით ისჯება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა. ერთი ადამიანის მკვლელობა, თუ რაიმე დამამძიმებელი გარემოება არ არსებობს, 108-ე მუხლით კვალიფიცირდება, ხოლო ერთზე მეტი ადამიანის მკვლელობა მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს და ქმედების კვალიფიკაცია აუცილებელი ხდება 109-ე მუხლით. მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს შედეგი - ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. მაგრამ განზრახი დამოკიდებულება არსებობს არა მხოლოდ ქმედების ძირითადი შემადგენლობის დამაფუძნებელი, არამედ მაკვალიფიცირებელი შედეგის მიმართაც.

ნამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები, როგორც უკვე ითქვა, განზრახვა-გაუფრთილებლობის კომბინაციას წარმოადგენს, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება, რომ განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას შეიძლება

[1] თ. ცქიტიშვილი, მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", 2012, #1, გვ. 207.

ადგილი ჰქონდეს ქმედების არა მხოლოდ კვალიფიცირებულ, არამედ ძირითად შემადგენლობებშიც. სანიმუშოდ დასახელებულია სატრანსპორტო დანაშაულები. იგულისხმება ავტოავარიით ჯანმრთელობის დაზიანების ან სხვისი სიცოცხლის მოსპობის გამოწვევა (276-ე მუხ.).[2]როგორც ვხედავთ, ავტომანქანის მართვა მიჩნეულია განზრახ ქმედებად. ა/მანქანის მართვა მართლაც შეიძლება წარმოადგენდეს განზრახ ქმედებას, მაგრამ ამისთვის საჭიროა, განზრახვა მოიცავდეს დამდგარ შედეგსაც, როდესაც საქმე ეხება განხორციელებული ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევას. ა/მანქანის მართვა განზრახი ქმედება არის ასევე მაშინ, როდესაც ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად საჭირო არ არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა და საკმარისია განსაზღვრული წესების დარღვევა კონკრეტული შედეგის გამოწვევის გარეშე. მაგალითად, სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (ა/მანქანის მართვა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ).[3]თუ ა/მანქანის მართვისას მძღოლმა დაარღვია წინდახედულობის ნორმა და შედეგად სხვისი ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა გამოიწვია, სახეზე იქნება გაუფრთხილებლობითი დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ ა/მანქანის მართვა შეგნებული ქმედებაა. განზრახ მაშინ იქნება ქმედება განხორციელებული, თუ მძღოლი გაითვალისწინებს მისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას და სურს აღნიშნული შედეგის გამოწვევა ან არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.[4] განზრახი ქმედება შეგნებული ქმედებაა, მაგრამ ყველა შეგნებული ქმედება ვერ იქნება განზრახი ქმედება.[5]შედეგიან დელიქტებში ქმედების სუბიექტური დამოკიდებულება არ შეიძლება ცალკე დადგინდეს ქმედების მიმართ და ცალკე შედეგის მიმართ.[6]განზრახვის და გაუფრთხილებლობის კომბინაცია მხოლოდ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებშია შესაძლებელი.[7] თუ განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას დავუშვებთ ქმედების ძირითად შემადგენლობებში, განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციად უნდა ვცნოთ თვითიმედოვნების და დაუდევრობის ყველა შემთხვევა, რაც გაუფრთხილებლობის ბუნებას ეწინააღმდეგება.[8]

თანამდევმა შედეგმა პასუხისმგებლობა რომ დაამძიმოს, აუცილებელია მაკვალიფიცირებელი შედეგისადმი პირს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება მაინც დაუდგინდეს. აღნიშნულ მოთხოვნას აქვს საგარანტიო ფუნქცია და გამომდინარეობს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან.[9] შეიძლება ქმედებამ განსაზღვრული მავნე შედეგი გამოიწვიოს, მაგრამ თუ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება არ არსებობს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება. თუ დამდგა-

---

2 მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 603.

3 ადრე მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული ქმედება ისჯებოდა არა სისხლის სამართლის კანონმდებლობით, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

4 თ. ცქიტიშვილი, მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", 2012, #1, გვ. 210.

5 გ. ნაჭყებია, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი", 2009, #1, 29.

6 თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 44.

7 მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 42; ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 106-107; ჯ. ბაბილაშვილი, სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004, გვ. 151-152.

8 მ. უგრეხელიძე, შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, #1, გვ. 160-161; ო. გამყრელიძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, „საბჭოთა სამართალი", 1966, #6, გვ. 85-86.

9 ო. გამყრელიძე, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, მისივე წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 255; თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 437-438; თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, წიგნში: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 76.

რი შედეგისადმი სულ მცირე გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება მაინც არ დადგინდა, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის გათვალისწინებით, არ შეიძლება პასუხისმგებლობა მოქმედ პირს სსკ-ის მიხედვით დაეკისროს.

სსკ-ის მე-11 მუხლის თანახმად, თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული განზრახ დანაშაულადაა გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, რომ შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება არსებობს. ვინაიდან კანონმდებელმა შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული განზრახ დანაშაულად გამოაცხადა, ჩნდება კითხვა, არის თუ არა მასში თანამონაწილეობა და მცდელობა შესაძლებელი?

როგორც სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, კანონმდებელმა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული განზრახ დანაშაულად იმიტომ გამოაცხადა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში თანამონაწილეობის[10]და მცდელობის საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან როგორც დანაშაულში მცდელობა, ისე თანამონაწილეობა მხოლოდ განზრახ დელიქტებშია შესაძლებელი.[11]გარდა ამისა, გაუფრთხილებლობა განზრახვას ვერ გადაფარავს. განზრახვა უფრო საშიშია, ვიდრე გაუფრთხილებლობა.

როდესაც საუბარია შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობაზე ერთმანეთისგან მიჯნავენ შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობას და შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას.[12] მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ შესაძლებელია არანამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის მცდელობა (მაგალითად, მკვლელობის მცდელობა ორი ან მეტი პირისა). ნამდვილი, გაუფრთხილებლობითი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობა გამოირიცხება,[13] ვინაიდან მცდელობა განზრახი ქმედებაა და შეუძლებელია განზრახი ქმედება იყოს მიმართული გაუფრთხილებლობითი შედეგისკენ. გაუფრთხილებლობითი, მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევის მცდელობა ვერ განხორციელდება. თუმცა, ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, ეს არ გამორიცხავს შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობას. მაგრამ, აქ იგულისხმება შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა, როცა ძირითადი შემადგენლობის მცდელობაა განხორციელებული, რომელიც იწვევს მაკვალიფიცირებელ შედეგს. მაკვალიფიცირებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ქმედების ძირითადი შემადგენლობის როგორც სრულად განხორციელებას, ისე მის მცდელობას. მაგალითად, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი - სიცოცხლის გაუფრთხილებლობით ხელყოფა შეიძლება გამოიწვიოს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის - ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობამაც. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციაზე არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული.

ქმედების საშიშროების თეორიით, თუ ქმედების ძირითადი შემადგენლობის მცდელობამ მაკვალიფიცირებელი შედეგი გამოიწვია, ქმედება კვალიფიცირდება იმ ნორმით, რომელიც შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას ითვალისწინებს, მაგრამ მცდელობის მე-19 მუხლზე მითითებით. მაგალითად, ანტონი და რუდი მისდევენ ბრუნოს იმისთვის, რომ ცემონ. გარკ-

[10] გ. ტყეშელიაძე, წიგნში: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმზღვანელო, თბ., 2007, გვ. 141.

[11] Eisele, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, Bielefeld, 2016, S. 249, §11 Rn. 6.

[12] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, München, 2003, 437-439; Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 11. Auflage, Biefeld, 2003, 612, Rn. 41, 42; Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil I, 2. Auflage, Stuttgart, 2010, 288, Rn. 686;Wessels/Beulke, Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Auflage, Heidelberg, 2010, 231-232, Rn. 617.

[13] თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ.502; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 84; ი. დვალიძე, წიგნში: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 173.

ვეული მანძილის გარბენის შემდეგ ტყეში ბრუნო წააწყდება შენობას და სიკვდილის შიშით, იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს, ჩაამტვრევს ფანჯრის მინას შენობაში დამალვის მიზნით. ამ დროს მიადგება ჭრილობა და სისხლისგან დაიცლება. როდესაც ბრუნო თვალს მიეფარება ანტონი და რუდი შეწყვეტენ დევნას. დევნის დაწყება წარმოადგენდა ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობას, ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას, რასაც მოჰყვა სასიკვდილო შედეგი.[14]მოცემულ შემთხვევაში, ქმედება, განსახილველი შეხედულების მიხედვით, კვალიფიცირდება 19, 117, (მე-2 ნაწილი) მუხლით. მართალია, შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი გაუფრთხილებლობით შედეგს ითვალისწინებს, მაგრამ მე-11 მუხლი განზრახ დანაშაულად აცხადებს, რის გამოც, ქმედების საშიშროების თეორიის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, იხსნება მცდელობის მუხლის მითითებასთან დაკავშირებული უხერხულობა.

შედეგის საშიშროების თეორიის მიხედვით, თუ მაკვალიფიცირებელი შედეგი ძირითადი შემადგენლობის მცდელობამ გამოიწვია, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება იმ ნორმით, რომელიც შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობას ითვალისწინებს. აღნიშნული ნორმით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევა ძირითადი შემადგენლობის სრულად განხორციელებით.[15]

გამმიჯნავი თეორიის მიხედვით, ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია დელიქტის თავისებურებაზე. ქმედების ძირითადი შემადგენლობის მცდელობით მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევა და შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა მაშინ მიიჩნევა დასაშვებად, როცა მაკვალიფიცირებელი შედეგი ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედებიდან გამომდინარეობს. ხოლო მაშინ, როცა მაკვალიფიცირებელი შედეგი ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგიდან გამომდინარეობს, მაკვალიფიცირებელი შედეგის შერაცხვის აუცილებელ პირობად ქმედების ძირითადი შემადგენლობის სრულად განხორციელება განიხილება.[16]გამმიჯნავი თეორია, რომელიც გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ჩამოყალიბდა, ითვალისწინებს იმასაც, რომ გერმანული სისხლის სამართალი სისხსლისსამართალდარღვევებს ყოფს დანაშაულად და გადაცდომად. დანაშაულის მცდელობისგან განსხვავებით, გადაცდომის მცდელობა ისჯება არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ გერმანულ სსკ-ის შესაბამის პარაგრაფში მითითებულ შემთხვევებში. შესაბამისად, ძირითადი შემადგენლობის მცდელობა უნდა იყოს დასჯადი, რომ დასჯადი გახდეს ძირითადი შემადგენლობის მცდელობით მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევა.

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში არა მხოლოდ მცდელობის, არამედ ასევე თანამონაწილეობის საკითხიც საკამათოა. როგორც მცდელობა, ისე თანამონაწილეობაც მოითხოვს განზრახ ქმედებას. თანამონაწილეობა მხოლოდ განზრახ დანაშაულშია შესაძლებელი განზრახი ქმედებით (23-ე მუხ.). შესაბამისად, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს თანამონაწილის ქმედება, როცა ამსრულებლის ქმედებას მოჰყვება მაკვალიფიცირებელი თანამდევი გაუფრთხილებლობითი შედეგი.

სანამ დასმულ კითხვას გაეცემოდეს პასუხი, ჯერ უნდა გაირკვეს, აღნიშნულ შემთხვევაში არის თუ არა სახეზე ამსრულებლის ექსცესი, ვინაიდან ამსრულებლის ექსცესის დროს ექსცესისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებელს და არა თანამონაწილეს (26-ე მუხ.).

ამსრულებლის ექსცესი გულისხმობს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელსაც არ მოიცავდა თანამონაწილის ან თანაამსრულებლის განზრახვა. იგივე ეხება დანაშაულებრივ შედეგსაც. თუმცა, ამსრულებლის ექსცესის დროს

[14] Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil I, 2 Auflage, Stuttgart, 2012, S. 308, Rn. 692; S. 309., Rn.696.

[15] Hirsch H., Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972, S. 75; Altenhein K., Der Zusammenhang zwischen Grunddelikt und schwerer Folge bei den erfolgsqualifizierten Delikten, GA, 1996, S. 30.

[16] Wessels/Beulke, Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Auflage, Heidelberg, 2010, 232, Rn. 617; Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Auflage, München, 2010, 129. § 18. Rn. 7.

დგება ისეთი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომელიც მოულოდნელი არის თანამონაწილისთვის და არა ამსრულებლისთვის.[17] თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის განხორციელებისას ქმედებას ისეთი თანამდევი შედეგი მოსდევს, რომელიც მოულოდნელობას წარმოადგენს როგორც თანამონაწილისთვის, ისე ამსრულებლისთვის. აქედან გამომდინარე, საქმე არ გვაქვს ამსრულებლის ექსცესთან.

მიუხედავად იმისა, რომ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის განხორციელება არ გულისხმობს ამსრულებლის ექსცესს, მაინც საკამათოდ მიიჩნევა დამდგარი თანამდევი შედეგის თანამონაწილისთვის შერაცხვის საკითხი.

ავტორთა ერთი ნაწილი გამორიცხავს თანამდევი შედეგის თანამონაწილისთვის შერაცხვას და თვლის, რომ ის მხოლოდ ამსრულებელს უნდა შეერაცხოს,[18] ხოლო თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებულ დანაშაულში მონაწილეობისთვის.

ავტორთა მეორე ნაწილი დასაშვებად თვლის თანამდევი შედეგის თანამონაწილისთვის შერაცხვას. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მოცემული შეხედულებით თანამონაწილეს მაკვალიფიცირებელი შედეგისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც თანამონაწილეს,[19] მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლად მიიჩნევა ერთიანი განზრახვით განხორციელებული უმართლობა.[20]

მესამე მოსაზრებით, ერთი მხრივ, თანამონაწილესაც ერაცხება დამდგარი მძიმე შედეგი ამსრულებელთან ერთად, მაგრამ მეორე მხრივ, თანამდევი შედეგისთვის თანამონაწილე ისჯება არა როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც ერთპიროვნული, დამოუკიდებელი ამსრულებელი.[21]

ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, თანამონაწილეს თანამდევი შედეგისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს როგორც პარალელურ ამსრულებელს.[22] ამით საკითხი სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით არსებითად არ იცვლება, მაგრამ ქმედების კვალიფიკაციისას ხდება განზრახვის და გაუფრთხილებლობის სფეროების გამიჯვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილე როგორც თანამონაწილე ისჯება განზრახვის ნაწილში, ხოლო გაუფრთხილებლობითი თანამდევი შედეგისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ამსრულებელს.[23]როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში არ მოდის გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ამსრულებლობასთან, ვინაიდან გაუფრთხილებლობის დროს ქმედების შემადგენლობას უშუალოდ ახორციელებს ის, ვინც უშუალოდ არღვევს წინდახედულობის ნორმას.

2. განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნის ბრალად შერაცხვა

სსკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იმისთვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი, აუცილებელია რომ ის იყოს დამნაშავის განზრახვით მოცული. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ობიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი ნიშნები, ვინაიდან განზრახვა სწორედ ობიექტური ნიშნების მიმართ დგინდება. ასეთი ხასიათის გარემოებაა დანაშაულის

[17] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 325-326.

[18] გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 405, 427.

[19] თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 210; ა. მახარაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., 2006, გვ. 206-207.

[20] თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 38.

[21] ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 112.

[22] Jescheck H-H., Weigend T., Lehrbuch des Strafrechts, AT, 1996, S. 690; Hirsch H., Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972, S. 76.

[23] Gössel K., Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach §18 StGB, Lange-FS, 1976, S. 228.

ჩადენის ხერხი, საშუალება, მსხვერპლის ასაკი, მდგომარეობა და დანაშაულებრივი შედეგი. დამამძიმებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ შედეგი ყოველთვის არ არის გაუფრთხილებლობითი და არის შემთხვევა, როცა დამამძიმებელ გარემოებას განზრახი შედეგი წარმოადგენს. ასეთი მაკვალიფიცირებელი გარემოება გათვალისწინებულია 109-ე მუხლით ორი ან მეტი პირის მკვლელობის სახით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული შედეგის (ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის) გაუფრთხილებლობით გამოწვევაც არის შესაძლებელი და გაუფრთხილებლობითი შედეგიც შეერაცხება დამნაშავეს, მაგრამ 109-ე მუხლის ფარგლებში პასუხისმგებლობის დამძიმება შედეგისადმი გაუფრთხილებლობას გამორიცხავს და მხოლოდ განზრახ დამოკიდებულებას მოითხოვს. თუ განზრახ მკვლელობის დროს განხორციელებულ ქმედებას დამატებით სხვა პირის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა მოჰყვა, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირდება 116-ე მუხლთან ერთად.

ზოგიერთ შემთხვევაში მაკვალიფიცირებელი გარემოება შედეგის სახითაა გათვალისწინებული, რომლის მიმართ განზრახვის არსებობა აუცილებელია, მაგრამ რეალურად ეხება თუ არა საქმე შედეგს, საკამათოა. ასეთია „მნიშვნელოვანი ზიანი" ქურდობის შემთხვევაში. მნიშვნელოვანი ზიანი გამოწვეულად ითვლება, თუ ნაქურდალის ღირებულება აჭარბებს 150 ლარს. იმითვის, რომ დამნაშავეს აღნიშნული გარემოება შეერაცხოს, უნდა აცნობიერებდეს ნაქურდალის მნიშვნელობას, ღირებულებას. თუ ქურდმა არ იცის რა ღირებულების და მნიშვნელობის ნივთს ეუფლება, გაუმართლებელია მოქმედი პირისთვის პასუხისმგებლობის დამძიმება ქმედების კვალიფიკაციის ეტაპზე. ასეთ დროს ნივთის ღირებულებამ ასახვა შეიძლება ჰპოვოს მხოლოდ სასჯელის ზომაზე. იგივე ითქმის დიდი ოდენობით ქურდობაზეც. მიუხედავად იმისა, რომ ქურდობა განზრახი დანაშაულია და ქურდობით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზიანი ან დიდი ოდენობით ქურდობა მაკვალიფიცირებელი შედეგისადმი მხოლოდ განზრახ დამოკიდებულებას გულისხმობს, სასჯელის დანიშვნის დროს არ შეიძლება მხედველობის მიღმა დარჩეს მსხვერპლისთვის რეალურად მიყენებული ზიანი. განსხვავებულად წყდება საკითხი მაშინ, როცა ბოროტმოქმედი წინასწარ მზაობას ავლენს იმისთვის, რომ დაეუფლოს ნებისმიერი ოდენობის თანხას, რასაც შეძლებს. მაგალითად, ჯიბის ქურდობის დროს. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება იმის მიხედვით, რეალურად რის დაუფლებას შეძლებს ბოროტმოქმედი.

დანაშაულებრივი შედეგისგან განსხვავებით, ყოველთვის განზრახი დამოკიდებულების დადგენას მოითხოვს ისეთი მაკვალიფიცირებელი გარემოებები, როგორიცაა დანაშაულებრივი ხერხი, დანაშაულის ჩადენის საშუალება, მსხვერპლის ასაკი და მდგომარეობა. განზრახ მოქმედებას მოითხოვს არა მხოლოდ ის დანაშაული, სადაც დანაშაულის ხერხი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა, არამედ ისიც, სადაც ის არის ქმედების ძირითადი შემადგენლობის არსებითი ნიშანი. მაგალითად, ქურდობის შემადგენლობის ნიშანია ფარული მოქმედება (177-ე მუხ.). ქურდობა განზრახი ქმედებაა. გაუფრთხილებლობით ქურდობა წარმოუდგენელია. უფრო მეტიც, ქურდობა არის მიზნით დეტერმინირებული ქმედება. მოქმედ პირს ქურდობის დროს გაცნობიერებული აქვს, რომ ფარულად მოქმედებს. შეიძლება ქურდის ქმედება სხვებისთვის შესამჩნევი იყოს, მაგრამ ქურდობის ამსრულებელს უნდა ჰქონდეს იმის წარმოდგენა, რომ ფარულად მოქმედებს. თუ მოქმედება ატარებს აშკარა ხასიათს, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური თვალსაზრისით, ქურდობა გამოირიცხება.

განზრახ დამოკიდებულებას მოითხოვს ისეთი ხერხი, როგორიცაა განსაკუთრებული სისასტიკე, რომელიც მკვლელობის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა (109-ე მუხ.). განსაკუთრებული სისასტიკითაა მკვლელობა განხორციელებული, როდესაც მკვლელობა ხორციელდება

მსხვერპლის ოჯახის წევრების თვალწინ[24] ან მსხვერპლის წამებით, მაგრამ იმისთვის, რომ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელებულად ჩაითვალოს, აუცილებელია მოქმედ პირს გაცნობიერებული ჰქონდეს მისი ქმედების სისასტიკე. საკმარისი არ არის მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმის არსებობა.[25] თუ მსხვერპლის მკვლელობას თვალს ადევნებენ ოჯახის წევრები, მაგრამ ამის შესახებ დამნაშავემ არ იცის, გამოირიცხება განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა.

ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს დანაშაულის საშუალება. 109-ე მუხლით ისჯება მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.[26] ასეთია მკვლელობა ღია სივრცეში, შორი მანძილიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მოწამვლით. ქმედების 109-ე მუხლით დასაკვალიფიცირებლად დამნაშავეს არა მხოლოდ შედეგისადმი უნდა ჰქონდეს განზრახი დამოკიდებულება, არამედ იმასაც უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ქმედებით საფრთხე ექმნება სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. საკმარისი არ არის სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მხოლოდ საფრთხის ობიექტურად შექმნა.

დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს ასევე მოცული მსხვერპლის ასაკი და მდგომარეობა. მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფისა. დამნაშავეს მსხვერპლის ორსულობასთან დაკავშირებით განზრახი დამოკიდებულება რომ უნდა ჰქონდეს ამაზე პირდაპირი მითითებაა 109-ე მუხლში, სადაც საუბარია მსხვერპლის ორსულობის წინასწარ შეცნობაზე. მსხვერპლი უნდა იყოს ორსულად და ეს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი მოქმედ პირს. თუ დამნაშავემ მსხვერპლის ორსულობაზე დანაშაულის ჩადენის შემდეგ შეიტყო, ქმედება 109-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. დამნაშავე შეიძლება ეჭვობდეს, რომ მსხვერპლი ორსულად არის, რაც არ არის საკმარისი. დამნაშავე მსხვერპლის ორსულობაში დარწმუნებული უნდა იყოს.[27]აუცილებელია მსხვერპლი ობიექტურად, რეალურად იყოს ორსულად და დამნაშავეს დანაშაულის ჩადენამდე ჰქონდეს ეს შეცნობილი.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მსხვერპლის მდგომარეობიდან აღსანიშნავია მსხვერპლის უმწეობა, რაც გულისხმობს მსხვერპლის

---

[24] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 71. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელებულად არ უნდა იქნას მიჩნეული, როცა მკვლელობა ხორციელდება მსხვერპლის ოჯახის თვალწინ, ვინაიდან დაცვის უშუალო ობიექტია მსხვერპლი და არა სხვა პირები. იხ. ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 39. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, რამეთუ 109-ე მუხლი მკვლელობის უშუალო მსხვერპლის გარდა სხვა პირებსაც რომ იცავს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს მკვლელობას ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თ. ცქიტიშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ერთი ქართულენოვანი გამოცემის გამო, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", 2018, #2, გვ. 374-375.

[25] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 69.

[26] არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, მკვლელობის განხორციელების დროს გამოყენებული საშუალებით საფრთხე რეალურად უნდა შეექმნას თუ არა ორ ან მეტ ადამიანს. ერთ-ერთი მოსაზრებით, საფრთხე რეალურად უნდა შეექმნას ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 48-49; ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 33. ხოლო მეორე მოსაზრებით, საკმარისია აბსტრაქტული საფრთხის შექმნა და არ არის აუცილებელი ორი ან მეტი პირისთვის რეალური საფრთხის შექმნა. თ. ცქიტიშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ერთი ქართულენოვანი გამოცემის გამო, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", 2018, #2, გვ. 368-369.

[27] თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, წიგნში: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 52; მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 53.

ყოფნას ისეთ მდგომარეობაში, როცა ის მოკლებულია თავდაცვის შესაძლებლობას ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. შესაბამისად, ერთმანეთისგან განასხვავებენ ფსიქიკურ და ფიზიკურ უმწეობას. მსხვერპლის უმწეობის გამოყენებითაა მკვლელობა განხორციელებული, როცა მკვლელობა ხორციელდება მთვრალი, მძინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ. მსხვერპლის უმწეობა ასევე სახეზეა, როცა საქმე ეხება მცირეწლოვანს. მოქმედ პირს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი მსხვერპლის უმწეობა.

მსხვერპლის ასაკი ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. თუ მკვლელობის მსხვერპლი არასრულწლოვანია, ქმედება ასევე 109-ე მუხლით კვალიფიცირდება. მსხვერპლის არასრულწლოვანება იმიტომ იწვევს პასუხისმგებლობის დამძიმებას, რომ არასრულწლოვნები მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან და არა იმიტომ, რომ არასრულწლოვნის სიცოცხლე უფრო მეტადაა დაცული და ღირებული, ვიდრე სრულწლოვნის. ადამიანის სიცოცხლე არ მიეკუთვნება კვანტიფიცირებად სიკეთეს. ისევე როგორც ორსული ქალის და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობისას, არასრულწლოვნის მკვლელობის შემთხვევაშიც, მსხვერპლის ასაკი დამნაშავეს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი. მოცემულ შემთხვევაშიც არ არის საკმარისი მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმი, მსხვერპლის არასრულწლოვანება, თუ მას თან არ ერთვის სუბიექტური ნიშანი განზრახვის სახით. მსხვერპლის ასაკი სხვა დანაშაულებთან მიმართებითაც იწვევს პასუხისმგებლობის დამძიმებას. ასეთია გაუპატიურება (137-ე მუხ., მე-4 ნ. „დ“ პუნქტი), სადაც პასუხისმგებლობის დამძიმებას იწვევს მსხვერპლის არასრულწლოვანება.